ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2536380

ნომერი: AR1391462

თარიღი : 30.03.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 15.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ა / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 , მიმდებარედ ნაკვ.08/094 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე სამარგულიანი პ/ნ 01024032511
- თბილისი საბურთალოს ქ. N 40 კორ. 2 ბ. 21

ორგანიზაცია:
- შპს "ჭავჭავაძის 49" კოდი: 404954126

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 30 მარტის №AR1391462 განცხადებით მომართა ალექსანდრე სამარგულიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, #49ა/ჭავჭავაძის გამზირი #49 მიმდებარედ, ნაკვ.#08/094, შპს ,,ჭავჭავაძის 49"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის I ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საერთო ფართობი და ავტოსადგომის ფართობი მითითებულია შეცდომით. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:18995; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1789.1.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 18995; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1789.1. სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2397958 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.